ინფორმაცია

სს „ალიონის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

გაცნობებთ, რომ 2019 წლის 4 ნოემბერს, 13:00 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ. 2/9-ში გაიმართება სს „ალიონის“ (ს/კ 200009301, შემდგომში „საზოგადოება“) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.
აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგია:

1. საზოგადოების წესდების ახალი რედაქციის მიღება;

2. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის ცვლილება.

2019 წლის 3 ოქტომბერს ჩატარებულ სხდომაზე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სააღრიცხვო დღედ განისაზღვრა 2019 წლის 4 ოქტომბერი.

სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციას გიწევთ, მონაწილეობა მიიღოთ საერთო კრებაში და მხარი დაუჭიროთ განსახილველი საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ საერთო კრებაზე დასწრებისა და მონაწილეობის უფლება ფასიანი ქალაღდების დამოუკიდებელ რეგისტრატორთან – სს „საქართველოს რეგისტრატორთან“ (სკ 205156374) კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 74ა, შესასვლელი მოსაშვილის ქ. №11-დან, სართული მე-7.

აქციონერებს ასევე შეუძლიათ გაეცნონ შემოთავაზებული წესდების ახალი რედაქციის პროექტს შემდეგ მისამართზე – ქ. თბილისი, გიორგი წმინდას დასახლება, ნ. ესებუას №2, ტელ: 558 33 04 35.

კრებაზე დასწრებისა და მონაწილეობის უფლების შესამოწმებლად, ასევე წესდების ახალი რედაქციის პროექტის და რიგგარეშე საერთო კრებაში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ თან იქონიოთ საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა ან პასპორტი).

სს „ალიონის“ დირექტორი **გურამ აგაჯანოვი**

2019 წლის 4 ოქტომბერი